რას უნდა ელოდო?

ჩემი თავშესაფრის მოთხოვნის განაცხადი

სანამ გადაწყვეტილებას ელოდები, **არ წახვიდე** სხვა ქვეყანაში ნებართვის გარეშე.

- → თუ არ შეგიძლია შენს ქვეყანაში დაბრუნება იმის გამო, რომ იქ შენთვის უსაფრთხო გარემო არაა, შეგიძლია **მოითხოვო თავშესაფარი აქ**.
- → თავშესაფარს ასევე უწოდებენ **საერთაშორისო დაცვას**.
- → **ბავშვს (18 წლამდე ასაკის პირი)**, რომელიც მარტო ჩამოდის ქვეყანაში, უნიშნავენ მეურვეს დახმარებისთვის.
- → ყველა ინფორმაციის შემოწმების შემდეგ, შესაბამისი ორგანოები გადაწყვეტენ **გჭირდება თუ არა თავშესაფარი.**

რეგისტრაცია

ეს ორგანოები დაარეგისტრირებენ შენს განაცხადს, გადაგიღებენ ფოტოს და აგიღებენ თითის ანაბეჭდებს (თუ 6 წელზე მეტი ასაკის ხარ) და შეამოწმებენ შენს დოკუმენტებს.

გადმოგცემენ დოკუმენტს, სადაც მითითებული იქნება, რომ შეიტანე თავშესაფრის მოთხოვნის განაცხადი. დაცულად შეინახე ის.

რეგისტრაციის შემდეგ მიიღებ ინტერვიუზე მოწვევას, სადაც მითითებული იქნება ინტერვიუს ჩატარების თარიღი, დრო და ადგილი.

ინტერვიუს მოლოდინი

შენ უსაფრთხო ადგილას დარჩები. სანამ ელოდები, ეცადე დაკავდე რაიმე აქტივობით.

ისწავლე ადგილობრივი ენა, გაიჩინე ახალი მეგობრები, დაკავდი სპორტით და შეინარჩუნე ჯანმრთელობა.

სთხოვე იურიდიულ კონსულტანტს ან მეურვეს ინტერვიუსთვის მომზადებაში დახმარება.

არ გააცდინო თავშესაფრის მიღების ინტერვიუ! თუ ცუდად ხარ, აცნობე ამის შესახებ შესაბამის ორგანოებს.

შენი თავშესაფრის მიღების ინტერვიუ

გკითხავენ რატომ დატოვე შენი ქვეყანა, დაგისვამენ კითხვებს შენი ოჯახის, სამშობლოში ცხოვრების და მგზავრობის შესახებ.

თან იქონიე დოკუმენტები (ID ბარათი, ფოტოები, ცნობები) შენი ისტორიის დასადასტურებლად.

გადაწყვეტილება

რამდენიმე თვის შემდეგ გაცნობებენ გადაწყვეტილების შესახებ.

\+ თუ გადაწყვეტილება დადებითია, შეგიძლია დარჩე ამ ქვეყანაში და გადახვიდე მუდმივ საცხოვრებელში.

− თუ გადაწყვეტილება უარყოფითია, მოგაწვდიან ინფორმაციას სამშობლოში დაბრუნების უსაფრთხო ვარიანტების შესახებ. თუ გადაწყვეტილებას არ ეთანხმები, შეგიძლია ოფიციალურად გაასაჩივრო ის. ამას გასაჩივრება ეწოდება.

გახსოვდეს

- შეგიძლია გაიარო კონსულტაცია იურისტთან შენს ქვეყანაში დაბრუნებასთან და შენს თავშესაფრის მოთხოვნის განაცხადზე მიღებული უარყოფითი გადაწყვეტილების გასასაჩივრებლად.
- თუ ენა არ იცი, მოითხოვე თარჯიმანი.
- თუ ვერ პასუხობ ოფიცრის დასმულ შეკითხვებს, შეგიძლია უთხრა ეს.
- ყველა ოფიცერი პატივისცემით უნდა გეპყრობოდეთ.
- ითანამშრომლე ოფიცრებთან. სთხოვე აგიხსნან გაუგებარი საკითხები.

Georgian

euaa
EUROPEAN UNION AGENCY FOR ASYLUM

© European Union Agency for Asylum, 2025